გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2012 წლის 27 იანვარი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობის გამოთვლის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგენს:**

1. დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობის გამოთვლის წესი თანდართული სახით (თან ერთვის).

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. იაგანაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობის გამოთვლის წესი

ზოგადი ნაწილი

1. შენობა-ნაგებობების სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის ფორმით გადაცემისას წლიური ქირის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.

2. შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 2

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრა

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობის გაანგარიშების საფუძველია ყველა სახის უძრავი ქონების ფართობი, მდებარეობა, შენობა-ნაგებობის მახასიათებელი (მდგომარეობა), დაკავებული მიწის ფართობი.

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობა გაიანგარიშება ფორმულით:

ქ(წ) = (მნ + ქფ X ITL X LMg) X **0,2**

სადაც:

ქ(წ) – არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების წლიური ქირის ოდენობა;

მნ – არის მიწის ნორმატიული ფასი და შეადგენს:

ა) ქ. გურჯაანის ცენტრალური ზონისათვის – 7,02 ლარს;

ბ) შუალედური ზონისათვის – 5,40 ლარს;

გ) პერიფერიული ზონისათვის – 3,78 ლარს;

დ) მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის – 2.7 ლარს.

ქფ – არის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი ფასი, რომელსაც განსაზღვრავს აუდიტი.

ITL არის მუნიციპალიტეტის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი და შეადგენს:

ა) ქ. გურჯაანის ცენტრალური ზონისათვის – 1,3 ლარს;

ბ) შუალედური ზონისათვის – 1,0 ლარს;

გ) პერიფერიული ზონისათვის – 0,7 ლარს;

დ) მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის – 0.5 ლარს.

LMg არის მუნიციპალიტეტის მაკრომდებარეობის ინდექსი და შეადგენს – 0,45.